ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 8/62

2022წლის 29 ივნისი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - შპს ,,საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის (ს/კ 215137830) 100 პროცენტი წილის ელექტრონული აუქციონით, მართვის უფლებით 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის შესაბამისად, შპს ,,კოლხეთი 1913“-ის (ს/კ 215137830) წილის 100 პროცენტის მმართველი არის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (ს/კ 215138143).

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წინადადებით შემოვიდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - შპს ,,საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის (ს/კ 215137830) 100 პროცენტი წილის ელექტრონული აუქციონით, მართვის უფლებით 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 127-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წილებისა და აქციების მართვის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით, ხოლო თბილისის შემთხვევაში – აუქციონის ფორმით, პირდაპირი განკარგვის ან კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით.

ამასთანავე, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 8 დეკემბრის, N669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წილების/აქციების აუქციონის ფორმით მართვის უფლებით გადაცემისას, მართვის უფლებით გადაცემის საფასური განისაზღვრება არანაკლებ დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის საფუძველზე, წილების/აქციების საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ის ოდენობით.

ამდენად, მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - შპს ,,საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის (ს/კ 215137830) 100 პროცენტი წილის ელექტრონული აუქციონით, მართვის უფლებით 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, განახორციელოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - შპს ,,საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის (ს/კ 215137830) 100 პროცენტი წილის ელექტრონული აუქციონით, მართვის უფლებით 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით გადაცემა.

მუხლი 2.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - შპს ,,საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის (ს/კ 215137830) 100 პროცენტი წილის ელექტრონული აუქციონით, მართვის უფლებით 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით გადაცემისას საწყისი მართვის უფლებით გადაცემის საფასური განისაზღვროს 2000.00 (ორი ათასი) ლარით, ,,ბე“ განისაზღვროს 1000.00 (ერთი ათასი) ლარით, ხოლო ბიჯი განისაზღვროს 100.00 (ასი) ლარით.

მუხლი 3.

დამტკიცდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტსა და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი.

მუხლი 4.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - შპს ,,საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის (ს/კ 215137830) 100 პროცენტი წილის ელექტრონული აუქციონით, მართვის უფლებით 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2022 წლის 24 მაისის, N 5/41 განკარგულება.

მუხლი 5.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 6.

განკარგულება ძალაშია 2022 წლის 29 ივლისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ტყებუჩავა

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N -----

(ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - შპს საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913-ის (ს/კ 215137830) 100 პროცენტი წილის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ)

ქალაქი ფოთი „– ” ---------- 2022 წელი

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (ს/კ 215138143) - შემდგომში ,,მესაკუთრე“, წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ---------- (პ/ნ ---------) სახით და მეორეს მხრივ, ---------- (ს/კ ---------) - შემდგომში ,,წილის მართვის უფლებით მიმღები“, წარმოდგენილი ---------- (პ/ნ ----------) სახით, ვდებთ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - შპს ,,საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის (ს/კ 215137830) 100 პროცენტი წილის მართვის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებას (შემდგომში ,,ხელშეკრულება“), რომელშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.

მუხლი 2. ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძვლები

2.1. ხელშეკრულების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილება, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის ------ N ------ განკარგულება, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის -------- N --------- ბრძანება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2022 წლის ----- N ----- ოქმი.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მესაკუთრე სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებგვერდზე www.eauction.ge, 2022 წლის ---------- საათიდან, 2022 წლის ---------- საათამდე, ჩატარებულ ელექტრონულ აუქციონზე (ვებგვერდი - www.eauction.ge, აუქციონის N -----, ლოტის N -------) გამარჯვებულს - მართვის უფლებით მიმღებს, მართვის უფლებით გადასცემს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - შპს საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913-ს (ს/კ 215137830) წილის 100 პროცენტს.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულებით, მესაკუთრე კომპანიას გადასცემს ნივთობრივად და უფლებრივად ნაკლისაგან თავისუფალ ნივთს (ქონებას არ ადევს ყადაღა/აკრძალვა ან/და არ არის რეგისტრირებული სხვა უფლებრივი შეზღუდვა), რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

მუხლი 4. წილის მართვის უფლებით გადაცემის საფასური და სხვა პირობები

4.1. წილის მართვის უფლებით მიმღები მესაკუთრეს უხდის მართვის უფლებით გადაცემის საფასურს.

4.2. შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის (ს/ნ 215137830) 100 %-იანი წილის მართვის უფლებით გადაცემის წლიური საფასური შეადგენს ------- (---------) ლარს.

4.3. წილის მართვის უფლებით გადაცემის საფასურის გადახდა წილის მართვის უფლებით მიმღებს არ ათავისუფლებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადისა და საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული სხვა გადასახდელებისგან.

4.4. 2022 წლის წილის მართვის უფლებით გადაცემის საფასური, წილის მართვის უფლებით მიმღებმა უნდა გადაიხადოს 2022 წლის 01 დეკემბრამდე (ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით), 2023 წლიდან ყოველი კალენდარული წლის 01 დეკემბრამდე, ხოლო ბოლო წლის საფასური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დასრულებამდე.

4.5. წილის მართვის უფლებით გადაცემის საფასური წილის მართვის უფლებით მიმღებმა უნდა გადაიხადოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, სახაზინო კოდი: 300423282 (სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები).

4.6. წილის მართვის უფლებით მიმღებს, მის მიერ აუქციონში ,,ბეს“ სახით გადახდილი --------- ლარი ეთვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბოლო წლის გადასახდელი მართვის უფლებით

გადაცემის საფასურის ოდენობაში.
4.7. წილის მართვის უფლებით მიმღებს არ ეკისრება ვალდებულება კლუბის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დღემდე არსებული დავალიანებების გადახდაზე, გარდა კომუნალური, 01.01.2022 წლის შემდეგ წარმოქმნილი სახელფასო და მიმდინარე ხელშეკრულებებით აღებული ფინანსური ვალდებულებებისა.
4.8. წილის მართვის უფლებით მიმღები ვალდებულია ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე ან/და ვადამდე ადრე შეწყვეტამდე არაუგვიანეს ერთი თვისა, დაფაროს აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოშობილი შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის (ს/კ 215137830) დავალიანებები.
4.9. წილის მართვის უფლებით მიმღებს მესაკუთრესთან შეთანხმების გარეშე უფლება არა აქვს: საკუთრებაში ან სარგებლობის უფლებით გადასცეს სხვა პირს ან უფლებრივად დატვირთოს საწარმოს საკუთრებაში არსებული ან ბალანსზე რიცხული ქონება, ან სარგებლობის უფლებით გადასცეს სხვა პირს ან უფლებრივად დატვირთოს წილი. ამასთან, წილის მართვის უფლებით მიმღები ვალდებულია, მოქმედი კანონმდებლობის **შესაბ**ამისად, უზრუნველყოს საზოგადოების ქონების მოვლა-პატრონობა და დაცვა.
4.10. წილის მართვის უფლებით მიმღები, მეს**აკუთ**რის მოთხოვნისთანავე, მესაკუთრეს წარუდგენს ინფორმაციას (ანგარიში) ხელშეკრულების პირ**ობებ**ის შესრულების შესახებ.
4.11. მესაკუთრის მიერ წილის მართვის უფ**ლებით** მიმღებისთვის გადასაცემი წილის ოდენობაა: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრე**ბაში** არსებული ქონების - შპს ,,საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“- ის (ს/კ 215137830) წილის 100 **პრო**ცენტის მთლიანი ოდენობა.
4.12. შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაუცველობის შემთხვევაში, წილის მართვის უფლებით მიმღები იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების გონივრული ვადა და ეკისრება შესაბამისი პირგასამტეხლო.
- პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება აუქციონის/სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე, კერძოდ:
ა) წილის მართვის უფლებით გადაცემის საფასურის გადაუხდელი თანხის 0.1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) ლარისა, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
ბ) საინვესტიციო ვალდებულებების (ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.2. პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტი) შეუსრულებლობის შემთხვევაში, დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის თანხის 0.1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
გ) ამ მუხლის 4.12. პუნქტით გათვალისწინებული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, თუ წილის მართვის უფლებით მიმღები არ იხდის პირგასამტეხლოს და არ ასრულებს სააუქციონო ან/და შესაბამისი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, მესაკუთრე უფლებამოსილია, ზემოაღნიშნული ხელშეკრულება მოშალოს ცალმხრივად. ამასთან, აღნიშნული გარემოება არ ათავისუფლებს წილის მართვის უფლებით მიმღებს ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 5. ხელშეკრულების ვადა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით, წილის მართვის უფლებით გადაცემის ვადაა 49 (ორმოცდაცხრა) წელი. ვადა აითვლება მხარეთა მიერ, ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.
5.2.ხელშეკრულების მხარეთა განსაზღვრაა ხელშეკრულება ძალაში იყოს მისი ვადის გასვლამდე, თუ ის არ იქნება შეწყვეტილი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
მუხლი 6. მხარეთა უფლებები და მოვალეობები.
6.1. მესაკუთრე ვალდებულია:
ა)მოამზადოს წილის მართვის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებული საჭირო დოკუმენტაცია.
ბ)მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გააფორმოს (ხელი მოაწეროს) წინამდებარე ხელშეკრულება.
6.1.1.მესაკუთრეს უფლება აქვს:
ა) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაათვალიეროს შპს ,,საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის (ს/კ 215137830) ქონება.
ბ) მოსთხოვოს წილის მართვის უფლებით მიმღებს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში რეგისტრაციისთვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტების წარმოდგენა.
გ) მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა, თუკი:

- წილის მართვის უფლებით მიმღები არღვევს ხელშეკრულების პირობებს.
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

6.2. წილის მართვის უფლებით მიმღები ვალდებულია:

ა) მიიღოს, ხელშეკრულებაში აღნიშნული ქონება - შპს ,,საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის (ს/კ 215137830) 100 პროცენტი წილი და გამოიყენოს იგი მიზნობრივად, მართვის მთელი პერიოდის განმავლობაში, უზრუნველყოფს შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის პროფილის შენარჩუნება.

ბ) პასუხისმგებელია გადაცემულ ქონებაზე.

გ) 2022 წელს უზრუნველყოს საფეხბურთო კლუბში არანაკლებ 160 000.00 (ასსამოცი ათასი) ლარის ინვესტიცია, ხოლო 2023 წლიდან ყოველწლიურად (კალენდარული წელი), მართვის მთელი პერიოდის განმავლობაში, უზრუნველყოს საფეხბურთო კლუბში არანაკლებ 400 000.00 (ოთხასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება.) მე-6 მუხლის 6.2. პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინვესტიცია მოიცავს: ფეხბურთელების და სხვა დასაქმებულების ხელფასით უზრუნველყოფას, ეკიპირებას, მივლინებებს, შეკრებებს, ფეხბურთელთა მკურნალობაზე გაწეულ ხარჯებს (ასეთის არსებობისას), მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ევროტურნირებზე პროფესიული გუნდის მონაწილეობას, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების (იჯარა, საექსპლოატაციო და სარემონტო) ხარჯებს, ამხანაგურ თამაშებს, საოპერაციო ხარჯებს და სხვა ხარჯებს, რაც მიმართული იქნება კლუბის განვითრებისათვის.

დ) საფეხბურთო კლუბის მუდმივად უეფა-ს და ეროვნული საკლუბო ლიცენზირების დებულებებისა და სტანდარტების მიხედვით ფუნქციონირება და ყოველწლიურად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობისათვის დადგენილი ლიცენზირების გავლა და მონაწილეობის მიღება საქართველოს ჩემპიონატებში.

ე) არაუგვიანეს 2023 წლისა უზრუნველყოს შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის დაწინაურება საქართველოს ჩემპიონატის ეროვნული ლიგა 2-ში, ხოლო ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 (ხუთი) წლის ვადაში შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის დაწინაურება საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. ამასთან, დაწინაურების შემდგომ კლუბი არ უნდა დაქვეითდეს.

ვ) შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ევროპისა და საერთაშორისო თასებზე მონაწილეობის შემთხვევაში განახორციელოს კლუბის შესაბამისი ლიცენზირება და მონაწილეობისათვის საჭირო ფინანსებით უზრუნველყოფა.

ზ) ყოველწლიურად უზრუნველყოს მესაკუთრისათვის ფინანსური ანგარიშებისა და ვალდებულებების შესრულების შესახებ აუდიტორული დასკვნების წარდგენა, რომელიც გაცემული უნდა იყოს იმ აუდიტორი/აუდიტორული კომპანიის მიერ, რომელსაც გავლილი აქვს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი.

თ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის თანხმობის გარეშე არ განახორციელოს კომპანიის სახელის, ლოგოს, გერბის ან/და სხვა არამატერიალური ქონებრივი სიკეთის ცვლილება, ასევე არ განახორციელოს ქონების გასხვისების/დათმობის ან/და სხვა ფორმით განკარგვა.

ი) მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე განახორციელოს ყველა სახის ქმედება და მიიღოს შესაბამისი ზომები წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

კ) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტისათვის, ასევე მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის (ასეთის წარმოშობის შემთხვევაში) ანაზღაურებაზე მთლიანად პასუხისმგებელია წილის მართვის უფლებით მიმღები.

ლ) გადაიხადოს ხელშეკრულებითა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ხარჯები.

მუხლი 7. ხელშეკრულების ვადამდე ადრე გაუქმება

- ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს:

ა) მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შედეგად.

ბ)მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით.

- მესაკუთრის მიერ:

ა)წილის მართვის უფლებით გადაცემული ქონების გამოყენებით ირღვევა საქართველოს კანონმდებლობა.

ბ) ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევისას.
კანონმდებლობით დადგენილი წესით, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ისეთი საკანონმდებლო აქტის მიღების შემთხვევაში, რომელიც შეუძლებელს ხდის ქონების გამოყენებას.
გ) წილის მართვის უფლებით მიმღების მიერ წლის დასრულებიდან სამი თვის განმავლობაში წილის მართვის უფლების საფასურის გადაუხდელობის ან ხელშეკრულების მე-4 მუხლით, მე-6 მუხლის 6.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.
დ)ქონების მესაკუთრის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, ქონების მესაკუთრემ აღნიშნულის თაობაზე 1 (ერთი) წლით ადრე წერილობით უნდა შეატყობინოს წილის მართვის უფლებით მიმღებს.
ე) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთვევებში.

7.1. წილის მართვის მიმღებს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7.2. წილის მართვის უფლებით მიმღების მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტამდე, წილის მართვის უფლებით მიმღებმა წილის მესაკუთრეს 30 დღით ადრე წერილობით უნდა აცნობოს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და გადაიხადოს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის დარჩენილი წლის წილის მართვის უფლების საფასური, ასევე გადაიხადოს განსახორციელებელი ინვესტიციის თანხა იმ რაოდენობით, რა რაოდენობაც სრულად შეავსებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ წლიურ ინვესტიციის ოდენობას 400 000 (ოთხასი ათასი) ლარს.

მუხლი 8. ვადის გასვლის შემდგომ ქონების დაბრუნების წესი

8.1. ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლის ან მე-7 მუხლის შესაბამისად ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში კომპანიის ბალანსზე რიცხული ქონება, ნორმალური ცვეთის გათვალიწინებით უბრუნდება მესაკუთრეს.
8.2. თუკი წილის მართვის უფლებით მიმღები ურთიერთობის დამთავრების შემდგომ არ აბრუნებს კომპანიის ბალანსზე რიცხულ ქონებას, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს დათქმული წილის მართვის უფლების საფასურის გადახდა, ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის და სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაც.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეცვლა

9.1. ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხარეების მიერ ორმხრივი წერილობითი, შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული ცვლილება ან/და დამატება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 10. ხელშეკრულების კონტროლი

10.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლს მესაკუთრის მხრიდან განახორციელებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 11. ფორსმაჟორი

11.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ფორსმაჟორული გარემოებით. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის ფორსმაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება, ან მოვლენა, რომელიც სცდება გამყიდველის, ან მყიდველის კონტროლის ფარგლებს და რომლის დადგომაც წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის და რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით და სხვა სახის წარმოების შეფერხებით, სამოქალაქო არეულობით, ომით (გამოცხადებული, თუ გამოუცხადებელი), ან სხვა სამხედრო, ტერორისტული, ან პარტიზანული მოქმედებით, ბლოკადით, აჯანყებით, მიწისძვრით, ზვავებით, ან სხვა მსგავსი მოვლენით, რომელიც არ ექვემდებარება იმ მხარის კონტროლს, რომელზეც ასეთი ფორსმაჟორული მოვლენა ახდენს გავლენას და რომლის თავიდან აცილება არცერთ მხარეს არ შეეძლო.
11.2.მხარე, რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორსმაჟორული გარემოების გამო, ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ხსენებული გარემოების, როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარე კარგავს უფლებას მიუთითოს აღნიშნულ გარემოებებზე, როგორც ვალდებულებების

შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე, როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.

11.3. ფორსმაჟორული გარემოებების არსებობის და მათი დადასტურების შემთხვევაში მხარეების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გადავადდება ფორსმაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.

11.4. ვადის ათვლა განახლდება იმ ფორსმაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტის დღიდან, რომელიც წარმოადგენდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეჩერების საფუძველს. ვადის დარჩენილი ნაწილი გადაიწევს შეჩერების ხანგრძლივობის შესაბამისად.

11.5. მესაკუთრეს უფლება აქვს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს ფორსმაჟორის გაგრძელების შემთხვევაში განიხილოს წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის, ან შეცვლილი გარემოებისადმი მისადაგების საკითხი.

მუხლი 12. დავათა განხილვა

12.1 მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყოველგვარ სადაო საკითხს წყვეტენ ურთიერთშეთანხმების გზით.

12.2. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

მუხლი 13. ხელშეკრულების სხვა პირობები

13.1. წილის მართვის უფლებით მიმღების მიერ შპს ,,საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის (ს/კ 215137830) ქონებაზე გაწეული ხარჯები მესაკუთრის (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის) და შპს ,,საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის მიერ არ ანაზღაურდება.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე ადრე გაუქმების ან/და ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, წილის მართვის უფლებით მიმღებს მიერ ,,ბეს“ სახით გადახდილი ---------- ლარი ან/და გადახდილი მართვის უფლებით გადაცემის საფასური უკან არ უბრუნდება.

13.3. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს და შპს ,,საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ს არანაირი ვალდებულებები არ წარმოეშვება.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

13.5. ის რაც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

13.6. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან, ერთი ეგზემპლარი ინახება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

13.7. ისეთი გარემოებების გამოვლენისას, რომელთა გათვალისწინება მხარეებს არ შეეძლოთ ხელშეკრულების დადებისას და ისინი გავლენას ახდენს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებაზე, ხელშეკრულების ეკონომიკურ მისაღებობაზე და სხვა გარემოებებზე, მხარეები უფლებამოსილი არიან მოითხოვონ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების/ვალდებულებების გადასინჯვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.8. ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით მხარეების მიერ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებები, გაიგზავნება წინამდებარე ხელშეკრულების მე-14 მუხლში მითითებულ მისამართზე, ფოსტის მეშვეობით ან/და ელექტრონულ ფოსტაზე. ელექტრონული ფოსტის გამოყენების შემთხვევაში, მხარეები აღიარებენ ელექტრონული ფოსტით გაგზავნილ და მიღებულ წერილებს (მიმოწერას), რა დროსაც წერილის მიღება დადასტურებული უნდა იყოს მიმღები მხარის მხრიდან.

13.9. წინამდებარე ხელშეკრულების მე-14 მუხლში მითითებული მისამართის შეცვლის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან აღნიშნულის შესახებ წერილობით აცნობონ ერთმანეთს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეთა მიერ გაგზავნილი წერილები გაიგზავნება აღნიშნულ მუხლში მითითებულ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

13.10. იმ შემთხვევაში თუ წილის მართვის უფლებით მიმღები ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 3 (სამი) თვით ადრე მომართავს მესაკუთრეს და მას შესრულებული ექნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, მესაკუთრე უფლებამოსილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილოს მასთან ხელშეკრულების გაგრძელების საკითხი, არაუმეტეს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადისა.

მუხლი 14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„მესაკუთრე“	„წილის მართვის უფლებით მიმღები“
სსიპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	----------
მის: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 12, ს/კ N 215138143, ელ. ფოსტა: info.poti@poti.gov.ge, poti.info@gmail.com, ტელ: 0493221295	მის: ---------- ----------
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი	----------